პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 70 (4580)

1972 წ. 9 აპრილი, კვირა.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჭაბუკებო და ქალიშვილებო, მუდ კომპლექსი მაღალი სპორტული ოსტატობისკენ მიმავალი გზაა!





## მისასალმებელი თაოსნობა

ვინც „ლოკომოტივის" სტადიონზე ფეხბურთელთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის გახსნის დღეს მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" მატჩის სანახავად მოვიდა, უთუოდ ნასიამოვნები დარჩებოდა სტადიონის საზეიმო ელფერით. დიდი ადგილი ეთმობოდა მშდ ახალი კომპლექსისადმი მიძღვნილ მასალებს — ლოზუნგებსა და მოწოდებებს, ნორმატივების სტენდებსა და მსურველთათვის კომპლექსის ჩაბარების გრაფიკს. ალმოსავლეთის ტრიბუნის თავზე მშდ კომპლექსის ნიშნის ორი გადიდებული ნიმუში ეკიდა.

ეს ყველაფერი თვალსაჩინოებისთვის. მაგრამ, რაც მთავარია, იმ დღეს მაყურებელმა უშუალოდ კომპლექსის მძლეოსნურ სახეობებში შეჯიბრებებიც ნახა. სტარტზე გამოვიდნენ თბილისის სკოლების ჭაბუკებისა და ქალიშვილების ნაკრები გუნდები. ცხადია, ამ შეჯიბრების საგიტაციო მნიშვნელობაც დიდი იყო.

სტადიონის დირექციის თაოსნობა მისასალმებელია. კარგი იქნება, თუ იგი ტრადიციად იქცევა და შემდგომში ამგვარ ღონისძიებებში სხვადასხვა ასაკის ხალხიც მიიღებს მონაწილეობას.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: კიროვის რაიონის 75-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ჯ. ნანიკაშვილი სიგრძეზე ხტომაში შეჯიბრების დროს; 100 მეტრზე ქალიშვილთა გარბენის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## წინ კიდევ ორი ეტაპია

დასასრულს უახლოვდება თბილისის ტრადიციული ხუთდღიანი ველორბოლა. უკვე მოეწყო 3 ეტაპი. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს „დინამოს" ნაკრები. მას მიჰყვებიან არმიის სპორტული კლუბისა და „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები. 3 ეტაპის ჯამში ველორბოლას ლიდერობს დინამოელი ვ. მალევანიკი.

როგორ ჩატარდა პირველი ეტაპები? თბილისი — იგოეთი — თბილისის ტრასაზე (115 კმ) თავდაპირველად ბურევესტნიკელი დ. კობაიძე და არმიის სპორტული კლუბის წევრი დ. ზამბახიძე დაწინაურდნენ. მცხეთის მიდამოებში მათ წამოეწია ჯგუფი, მერე კი წინ გაიჭრა ექვსი სპორტსმენი, რომელთა შორის კობაიძე არ იყო — მას ველოსიპედი გაუფუჭდა. იგოეთში მობრუნების შემდეგ ტემპმა საგრძნობლად იმატა. ფინიშთან პირველი მიიჭრა სპარტაკელი ვ. რთველიაშვილი — 2:57.40. II ადგილზე გავიდა პირად ჩათვლაში მოასპარეზე რუსთაველი ი. კრასავცევი. ლიდერობა ხელთ იგდეს „დინამოს" ველოსიპედისტებმა.

მეორე ეტაპზე (თბილისი — ჟინვალი — თბილისი) კვლავ კობაიძე დაწინაურდა. სწორედ მისი მეცადინეობით ძირითად ჯგუფს გამოეყო რამდენიმე ველოსიპედისტი და რბოლას სათავეში ჩაუდგა. ამაოდ ცდილობდა რთველიაშვილი წინ წასულებს დასწეოდა. ფინიშთან პირველი იყო კობაიძე. შემდეგ საკონტროლო ხაზი გადაკვეთეს მალევანიკმა და პირად ჩათვლაში მოასპარეზე რუსთაველმა ვ. კეხბამ.

ბრძოლა მესამე ეტაპზეც (თბილისი — შახლი — თბილისი) აქტიური იყო. რბოლას ტონი მისცა კრასავცევმა, რომელსაც უმალ აჰყვა დინამოელი ჯ. ბაქრაძე. შემდეგ გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფი, სადაც დაწინაურებულებს გარდა იყვნენ მალევანიკი, ზამბახიძე, რთველიაშვილი, აგრეთვე, ბურევესტნიკელი გ. ქათამაძე, დინამოელები ა. ჩერნოუსოვი და ვ. პეტრინი.

მეორე ჯგუფში შესამჩნევად აქტიურობდა კობაიძე, მაგრამ დანარჩენებმა მხარი არ აუბეს და ისიც ბედს შეურიგდა. უნდა აღინიშნოს, რომ კობაიძე ამ ეტაპზე აშკარად შეცდა: უყურადღებოდ დატოვა ლიდერები და ამისთვის დაისაჯა კიდეც. ფინიშის წინ ტემპს ვერ გაუძლეს პეტრინმა და ზამბახიძემ — ლიდერებს ჩამორჩნენ. საკონტროლო ხაზი ყველაზე ადრე მალევანიკმა გადაკვეთა.

ა. თინაშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მონაწილენი მეორე ეტაპის სტარტზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## რეზერვი მაინც არ ჩანს

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირი.

ქალთა გუნდებიდან გათამაშების პირველი ეტაპი, რომელიც სამი მატჩისგან შედგებოდა, წარმატებით გაიარეს უნივერსიტეტისა და განათლების განყოფილების კოლექტივებმა. სწორედ ისინი შეხვდნენ ფინალში ერთმანეთს — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სტუდენტთა კოლექტივი და ნორჩი კალათბურთელები. შეხვედრა ნელი ტემპით დაიწყო. ორივე გუნდის მცველებმა საიმედოდ ჩაკეტეს კალათის მისადგომები. გულმოდგინე მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდნენ თავდამსხმელები და ეს მაშინვე დაეტყო ანგარიშს: დაწინაურება ვერც ერთმა კოლექტივმა ვერ მოახერხა — 4:4, 8:8, 10:10, 17:17, 19:19. ტაიმის ბოლო წუთები უნივერსიტეტელთა რამდენიმე ეფექტური შეტევით აღინიშნა და ახრახაძის წყალობით ჩემპიონი დაწინაურდა — 25:19.

ექვსქულიანმა მარაგმა სტუდენტთა თამაშს დამაჯერებლობა შემატა. 26-ე წუთისთვის სხვაობამ უკვე 11 ქულა შეადგინა (34:23), მაგრამ ამან ვერ გატეხა ნორჩ კალათბურთელთა ბრძოლისუნარიანობა. ისინი მიხვდნენ, რომ ნელ თამაშს ხეირი არ მოჰქონდა და საგრძნობლად უმატეს ტემპს. ტაქტიკის შეცვლამ უმალ ნაყოფი გამოიღო: მომდევნო ხუთ წუთში მოსწავლეებმა 6 ქულა გაქვითეს.

ამ კრიტიკულ მომენტში სირთულეს წარმატებით გაართვა თავი გაათ-

(დასასრული მე-8 გვ.).

## რეკორდით დამშვენებული მატჩი

მოსკოვი, 7 აპრილი. დღეს სტარტი აიღო სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა XI ამხანაგურმა მატჩმა. ცსკა-ს 50-მეტრიან ზამთრის საცურაო აუზზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რომელიც პირველი დღის პროგრამის ბოლო სახეობაში — 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ქალთა ესტაფეტაში საკავშირო რეკორდის დამყარების მოწმე გახდა: ნ. მატიუხინამ, ე. ტიმოშენკომ, ო. პეტრუსევამ და ტ. ზოლოტნიცკაიამ 4.08,4 აჩვენეს. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს ძველ რეკორდს, რომელიც ევროპის ბოლო ჩემპიონატში დაამყარეს საბჭოთა ქალებმა.

ამ ორი ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრული მატჩი მაყურებელს მუდამ მაღალი შედეგებით ახარებდა, მაგრამ დღეს ასე არ იყო. ჯერ ერთი, როგორც საბჭოთა, ისე გერმანელი მოცურავეები წინაოლიმპიურ სამზადისს „მოკლე", 25-მეტრიან აუზებში გადიოდნენ, მეორეც, მატჩის თითქმის ყველა მონაწილე სულ ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებაში ასპარეზობდა „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე და, ცხადია, ცოტა დაღლილი იყო.

პირველი დღის გაცურვებიდან უნდა აღინიშნოს ბრასისტთა შეჯიბრებები, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა გ. სტეპანოვამ (200 მ — 2.43,3) და ე. მიხაილოვმა (100 მ — 1.07,4) იმარჯვეს. მესამე იყო მსოფლიო რეკორდსმენი ნ. პანკინი (1.07,7), რომელსაც, ისევე როგორც „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე ასპარეზობისას, ახალგაზრდა ლენინგრადელმა ვ. სტულიკოვმა (1.07,5) აჯობა. ლენინგრადელი პირველადაა შეყვანილი სსრ კავშირის ნაკრებში.

თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში საუკეთესონი იყვნენ გერმანელი გ. ველკო (1.01,2) და სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. ბურე — 53,7.

ჟურნალისტებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის რ. მათესის (გდრ) მიმართ, რომელმაც ბატერფლაით 100-მეტრიანი დისტანცია მიიგო (56,3). მათ აინტერესებდათ, შეეცდება თუ არა გერმანელი მოცურავე ამ დისტანციაზე გულაღმა ცურვაში თავისი მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას.

— შევეცდები, თუმცა ძნელი სათქმელია, რა მოხდება, — თქვა მათესმა.

პირველი დღის შემდეგ მატჩის ანგარიში საყაიმოა — 60:60.

შეჯიბრება 9 აპრილს დამთავრდება.

### 19 45

◆ სარაევო, 8 აპრილი. აქ გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში I ადგილზე გავიდა უნგრელი დიდოსტატი ლ. საბო — 11 ქულა. II ადგილზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ტ. პეტროსიანი, რომელიც გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა. III-V ადგილები გაიყვეს პ. კერესმა და ჩეხოსლოვაკიელებმა ვ. ჰორტმა და ვ. იანსამ — 9,5-9,5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ 50

ჩვენი [illegible]

საკლესი მოგვითხრობს

# სპორტულ აუდიტორიებში

ბაქოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის პროფტექსასწავლებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის ოქროს ნიშნით დაჯილდოვდა. ამ სასწავლებლის სპორტულმა კოლექტივმა ყველას აჯობა თავის სისტემაში.

ბაქოელები აგერ უკვე მეორე ათეული წელია ზედიზედ იმარჯვებენ „შრომითი რეზერვების" ტრადიციულ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. მოწავალ მენავთობეებს ბევრჯერ მოუგიათ საკავშირო შეჯიბრებაც. მარტო შარშანდელ სეზონში სპორტის ოსტატისა და კანდიდატის სახელი შვიდმა ჭაბუკმა მოიპოვა. სახელმწიფო პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურელთა სპორტულ მიღწევებს მოწმობს ბოლო წლებში მოპოვებული 25 თასი და გარდამავალი პრიზი, 150-ზე მეტი სიგელი და დიპლომი.

ამჟამად სასწავლებელში მუშის პროფესიას ათასზე მეტი ჭაბუკი ეუფლება, თანრიგოსანთა რიცხვი კი თითქმის ორჯერ მეტია. ეს სტატისტიკური შეცდომა არ გახლავთ, კოლექტივის კარგი ტრადიციაა. აქ ასე იციან: ერთ სპორტულ თანრიგს რომ შეასრულებენ, მერე მეორისთვის იწყებენ ზრუნვას.

სასწავლებელში ყველაზე ადრე სპორტული „აუდიტორიები" ილება — ვრცელი სათამაშო დარბაზი, ჭიდაობის, კრივის, მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები, რომლებიც თვით მოსწავლეებმა გააკეთეს და მოაწყვეს. სასწავლებლის ყველა ჯგუფი (სულ 42) მონაწილეობს ყოველწლიურ ტრადიციულ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაში, რომელიც სპორტის რვა სახეობაში ტარდება. ყოველ შეჯიბრებას ემსახურება მსაჯთა ბრიგადა, რომელშიც თვითონ მოსწავლეები შედიან. შარშან აქ საზოგადოებრივ საწყისებზე 190 მსაჯი მოამზადეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

... 14 წლის ბიჭებისთვის, რასაკვირველია, მეტად მაცდუნებელია თავისუფალი ჭიდაობის სექციის მწვრთნელის, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონის, მსოფლიოს თასის მფლობელ გ. საადოვის თუნდაც მარტო ტიტულების ჩამოთვლა. მათაც მაშინვე სურთ გაიცნონ სახელგანთქმული ათლეტი. ხოლო რახან დარბაზში მოხვედი, საღიჩაზეც უნდა გახვიდე.

მეტად პოპულარულია კლასიკური ჭიდაობის სექციაც. რამდენიმე წლის წინ მოვიდნენ ამ სექციაში რ. ევაზოვი და ვ. მკრტიჩევი. 1970 წელს ისინი უკვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდნენ ევროპის ჩემპიონატში. დებიუტი ჩინებული იყო. მკრტიჩევმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მისმა ამხანაგმა კი ბრინჯაოს მედალი.

... 30 წლის მანძილზე პროფტექნიკური სასწავლებელი 18 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა დაამთავრა, — გვიამბობს ფიზაღზრდის მასწავლებელი ჰ. კარაევი, რომელიც აგერ უკვე საუკუნის მეოთხედია სპორტულ-მასობრივ მუშაობას ხელმძღვანელობს ამ კოლექტივში. — მათს უმეტესობას სპორტი დაეხმარა, რომ წარმოების ჩინებული მუშაკები ვამხდარიყვნენ. ძერჟინსკის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ერთნახევარჯერ, ორჯერ გადაჭარბებით ასრულებს სამუშაო ნორმებს კალათბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი მ. მირზოევი, „აზენერგოსტროის" მემონტაჟე ზეინკალი, სასწავლებლის ექს-ჩემპიონი ჭიდაობაში დ. ჯებრაილოვი ახლახან „საპატიო ნიშნის" ორდენით დააჯილდოვეს. ასეთი მაგალითი ცოტა როდია. ჩვენი ყოფილი მოწაფეები საწარმოში მუშაობის დაწყებისთანავე სპორტის აქტიური პროპაგანდისტები ხდებიან.

ბაქოს ბევრი ქარხნის ნაკრები გუნდები მთლიანად ალკკ 50 წლისთავის სახელობის პროფტექნიკური სასწავლებლის ყოფილი აღსაზრდელებისგან შედგება.

ვ. მოროზოვი.

ბაქო.

# ოკეანეში... მოტოციკლებით

მოტოკლუბ „პოლიარნიკის" წევრებმა განახორციელეს არქტიკის ათვისების ისტორიაში არნახული სამოტოციკლო გადასვლა კოლიმის დაბა ჩერსკიდან ყინულოვანი ოკეანის კუნძულ ჩეტირიოხსტოლბოვოიმდე. ექვს მოტოციკლისტს მეთაურობდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. მამზურინი.

ამ გადასვლის იდეა დიდი ხანია წამოიჭრა. მიუხედავად მანძილის სიშორისა, წარმატების იმედი მხოლოდ ენთუზიასტებს ჰქონდათ. კოლიმაზე ხაიდვილი გზები არ არის, მოტოციკლით სიარული ძალიან ძნელი იყო, თან სპორტსმენებს ყველგან მავალი სატვირთო მანქანაც გაუტყდათ. ერთგან ძლიერი ქარიშხალი წამოეწიათ და ჰაერის ტემპერატურა მინუს 30 გრადუსამდე დაეცა. სახელდახელოდ გააკეთეს თოვლის სახლი და თავი იქ შეაფარეს.

ყველაზე მეტად მაშინ გაუჭირდათ, როცა აღმოსავლეთ ციმბირის ღია ზღვაში გავიდნენ. თვალსაწიერზე მხოლოდ თოვლი და ყინული ჩანდა. მაგრამ სპორტსმენები გასაჭირს არ ეპუებოდნენ, დროდადრო ხელით მიჰქონდათ მძიმე „იჟები" და „იავები". მათ ექვსი დღე-ღამის შემდეგ მიაღწიეს კუნძულს, სადაც მამაც სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ჰიდროლოგთა პოლარული სადგურის მოზამთრეებმა.

დ. ბუბიაკინი.

იაკუტსკი.

# ლაშქრობა მიწისქვეშა სამეფოში

მხარის ტურისტმა სპელეოლოგებმა შორეული აღმოსავლეთის მიწისქვეშა სამყაროში ერთი წლის მანძილზე 100 ლაშქრობა გამართეს. ყველაზე დიდი ექსპედიცია მოეწყო ოდინარე ამურის აუზში მდებარე სოფელ ბირაკანის რაიონში. აქ ტურისტებმა რამდენიმე საინტერესო მღვიმე აღმოაჩინეს.

შორეულ აღმოსავლეთში მიწისქვეშ ლაშქრობა სპორტული ტურიზმის ყველაზე ახალი სახეობაა. მან სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ახალგაზრდებს შორის. სპელეოლოგიას დიდი სარგებლობა მოაქვს სამეცნიერო კვლევისთვისაც. სულ ახლახან ნახოდკელ ტურისტ სპელეოლოგთა ჯგუფმა აღმოაჩინა ამ მხარეში ყველაზე ლამაზი მღვიმე.

წლეულს მოყვარული სპელეოლოგები ისევ აგრძელებენ ძიებას. მაისში ყველაზე დიდი მღვიმის შესასვლელთან კარვების ქალაქი გაჩნდება. გამოცდილი ინსტრუქტორები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ექსკურსანტთა ჯგუფებს შეხვდებიან და მიწისქვეშა სამეფოს გაცნობაში დაეხმარებიან.

ი. კალატოვი.

ვლადივოსტოკი.

# მშდ კომპლექსის პირველი გაზაფხული

„უროჟაის" ბელორუსიის საბჭომ სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოს აცნობა, რომ წლეულს გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს რესპუბლიკური სპარტაკიადა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები მშდ-ს პროგრამით. პირველი ტურნირები მასობრიობით გამოირჩეოდა. მაგალითად, მინსკის ოლქში 12 ათასი ფიზკულტურელი გამოვიდა სარბიელზე. მათგან თითქმის ნახევარმა პირველი ნორმატივები შეასრულა.

რიბნოვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კოსტინოს" ფიზკულტურის კოლექტივმა რიაზანის ოლქში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მზადება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. შეიქმნა მშდ-ს კომისია. ჩატარდა „ჯანმრთელობის დღესასწაული", რომლის პროგრამაში მშდ კომპლექსის მოთხოვნების შესაბამისი შეჯიბრებებიც შეიტანეს.

ახალ კომპლექსს მაშინვე გამოეხმაურნენ რიაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებიც. ამ ინსტიტუტში უკვე რეგულარულად მიმდინარეობს მზადება მშდ-ს პროგრამით.

ზოგისთვის ცურვა და სროლა განსაკუთრებით ძნელი გამოცდაა. ამიტომ „კოლოსის" ლვოვის საოლქო საბჭო დოსააფის კომიტეტს დაუკავშირდა. ისინი ერთად ატარებენ შეჯიბრებებს ოთხჭიდში, გახსნეს ასამდე სასწავლო პუნქტი.

„ფახთაქორის" გამოცდილმა სპეციალისტებმა უზბეკეთის ოლქების საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ინსტრუქტორ-მეთოდისტებთან ათდღიანი სემინარები ჩაატარეს. რესპუბლიკაში გამოცხადდა უმარტივესი მოედნების მოწყობის ერთთვიური ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

სასოფლო სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოები დიდ დროს უთმობენ მშდ კომპლექსის ამოცანების პროპაგანდას. მაგალითად, „მეხსულმა" ოპერატიულად დაგზავნა აზერბაიჯანის ფიზკულტურის კოლექტივებში საინსტრუქციო წერილები. შეჯიბრებები მასობრივად ტარდება.

# სიჯანსაღის წყარო

7 აპრილს, ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს, ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქის 500-ზე მეტი ჭაბუკი და გოგონა მონაწილეობდა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. ნალჩიკის სტადიონის რეზინ-ბიტუმის ბილიკებსა და სექტორებს ჯერ არასდროს ჰყოლიათ სტუმრად ამდენი 100 მეტრზე მორბენალი, სიგრძეზე და სიმაღლეზე მხტომელი: მომავალმა მშენებლებმა, ტრაქტორისტებმა, შოფრებმა, მექანიკოსებმა ახალი კომპლექსის ზღუდეებს შეუტიეს. პირველი გარბენი მოიგო „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, 42 წლის ხ. იახტანიგოვმა. 1954 წელს მან რსფსრ-ს ჩემპიონობა მოიპოვა სპრინტში და ახალგაზრდებს ახლაც არ უდებს ტოლს.

რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ამ დღეს ასევე მასობრივად აბარებდნენ მშდ-ს ნორმატივებს.

ნალჩიკი.



# პოლარული ოლიმპიადა მურმანსკში

მურმანსკში ჩატარდა ჩრდილოეთის დღესასწაული — სპორტული ზამთრის ყველაზე პოპულარული შეჯიბრება. აქ ჩამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები საპოროს ოლიმპიადის გმირების გ. კულაკოვასა და ვ. ვედენინის მეთაურობით.

ეს დღესასწაული 38-ე იყო და სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნა. მურმანსკელები ომის მძიმე წლებშიც კი ცდილობდნენ არ დაერღვიათ ტრადიცია და პოლარული ოლიმპიადები ჩაეტარებინათ.

წლეულს ამ ასპარეზობას უსწრებდა ჩრდილოეთის დღესასწაულები კოლის ნახევარკუნძულის ქალაქებსა და რაიონებში. თოვლის ტრასებსა და ყინულის ბილიკებზე გამოვიდა სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ხალხი — სამთო საქმის ოსტატები, მეტალურგები, მშენებლები, მეთევზეები, გემშემკეთებლები.

დღესასწაულის დასკვნით ტურნირებში მონაწილეობდა ორი ათასამდე სპორტსმენი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ციგურაობაში, ირმებშებმული მარხილებით რბოლაში, ტრამპლინიდან ხტომაში, ფიგურულ ციგურაობასა და ჰოკეიში.

დღესასწაულის მშვენება იყო სათხილამურო რბოლა გამოჩენილი ოსტატების მონაწილეობით. მათ შორის იყვნენ უცხოელი სტუმრებიც — საპოროს ოლიმპიადის პრიზიორები ხ. შიკოლოვა (ჩეხოსლოვაკია), პოლონელი ი. სტაშელი, გდრ-ისა და ფინეთის მრბოლელები.

* * *

სურათზე: ირმებშებმული მარხილებით რბოლა.

ვ. ბუდანის ფოტო.

# „მცირე ავიაციის" თვითმფრინავები

ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივია. სტუდენტებმა თვითონ შექმნეს ბაზები სპორტის ბევრ სახეობაში სავარჯიშოდ. შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს მოთხილამურეებმა და მძლეოსნებმა, პარაშუტისტებმა. მაგრამ ყველაზე პოპულარულია ავიამოდელისტთა სექცია ანუ, როგორც მას უწოდებენ, ავიასამოდელო სპორტის ლაბორატორია.

მოდელები სტუდენტების ხელითაა გაკეთებული. ამ ლაბორატორიაში „მცირე ავიაციის" თვითმფრინავების არაერთი ორიგინალური კონსტრუქცია შეიქმნა, დამზადდა ძრავები, რადიოაპარატურა. სტუდენტები ყველაფერს თვითონ აკეთებენ და ამიტომ იოლადაც ეუფლებიან ხარატის, მხერავის, ხეზე მჭრელის ოსტატობას.

შარშან ლაბორატორიაში თვითმფრინავის, შვეულმფრენის, პლანერის 155 ექსპერიმენტული მოდელი დამზადდა.

ინსტიტუტის ავიასამოდელო სექციის აღზრდილებს შორის არიან საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონები, რეკორდსმენები, აგრეთვე, 70-მდე სპორტის ოსტატი. უმაღლესი სასწავლებლის პარმანდელმა საკავშირო პირველობამ ინსტიტუტის გუნდს მთავარი პრიზი — დიდი ბროლის თასი მოუტანა.

ლაბორატორიაში შემადგენლობა ხშირად იცვლება. სტუდენტები ინსტიტუტს ამთავრებენ, ქარხნებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მიდიან სამუშაოდ. მათს ადგილს ახალბედები იჭერენ. სამაგიეროდ, მეგობრობისა და კოლექტივიზმის სული უცვლელი რჩება. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ლ. ლიპინსკის, რომელიც ოც წელზე მეტია ლაბორატორიას ხელმძღვანელობს. ვეტერანი თვითონ აძლევს ნაგალითს მოწაფეებს.

სექციის წევრები გამოდიან როგორც ოფიციალურ, ისე საჩვენებელ შეჯიბრებებში — ხარკოვის ინსტიტუტებში, საშეფო კოლმეურნეობებში. ისინი პროპაგანდას უწევენ თავიანთ საყვარელ სახეობას, რომლითაც გატაცებული იყო და ახლაც არის თვითმფრინავების მრავალი კონსტრუქტორი.

ნ. რუბანი.

ხარკოვი.

# ჭაბუკი სპორტსმენებისთვის

ჩიმკენტის ოლქის თვალწარმტაც დაბა ვანოვკაში ზამთრის სპორტული დარბაზი აიგო. მისი ბატონ-პატრონები მოსწავლეები არიან. უკვე სამასზე მეტი ბავშვი მეცადინეობს ფრენბურთის, მძლეოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ფეხბურთის სექციებში.

ვანოვკაში საერთაშორისო სამაჩრო შეხვედრებიც ჩატარდება.

ვ. ტორსკი.

ვანოვკა,
ჩიმკენტის ოლქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ტურნირის ნახევარი განვლილია

განვლილია მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ნახევარი. თუ სატურნირო ცხრილს დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ უძლიერესთა სამეულში მოხვედრისთვის, რომელიც საკავშირო შეჯიბრებაში ბრძოლის გაგრძელების უფლებას იძლევა, დაახლოებით 6-7 გუნდი იბრძვის. იგივე ცხრილი საშუალებას გვაძლევს სპეციალიზებულ სკოლებსა და მოსამზადებელ ჯგუფებში გაწეულ შრომაზე გამოვიტანოთ დასკვნები.

სასიამოვნოა, რომ ცხრილის სათავეში სოხუმის ნორჩ დინამოელებს ვხედავთ. სოხუმელთა კოლექტივში გამოცდილი სპეციალისტის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ს. ესაკიას დაბრუნებასთან დაკავშირებით მუშაობა გამოცოცხლდა და თუ ყოველივე ეს სოხუმელ ჭაბუკებს შორის უწინდელი საფეხბურთო ტრადიციების აღორძინებას მოასწავებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ფეხბურთი ამ ქალაქიდან კვლავ მიიღებს პირველხარისხოვან მოთამაშეებს.

აქტიურად, შედეგიანად თამაშობენ თბილისის განათლების განყოფილების ნორჩები. ამ სკოლის აღსაზრდელი გ. კრავჩენკო, რომელიც უკვე მიწვეულია თბილისის „დინამოში", 10 ბურთით სათავეში უდგას გათამაშების ბომბარდირთა სიას.

სტაბილური, შინაარსიანი თამაშით გამოირჩევიან ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი, „გantიადი", „სპორტინტერნატი" (სამივე — თბილისი), „ტორპედო" (ქუთაისი).

საკვირველია, რომ ისეთი გამოცდილი, მდიდარი წარსულის მქონე კოლექტივი, როგორიცაა თბილისის „დინამო", ძალიან ჩამორჩა და მხოლოდ XV ადგილზეა. ეს, ალბათ, დროებითი მოვლენაა. დინამოელთა მოსამზადებელ ჯგუფს გაცილებით მეტი აკისრია რესპუბლიკის ოსტატთა გუნდებისთვის შესაფერისი ცვლის აღზრდის საქმეში.

მოგვყავს განვლილი ტურების შედეგები:

„დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (თბილისი) 2:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1, „ავაზა" (თბილისი) — „დილა" (გორი) 1:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:2, განათლების განყოფილება (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 3:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 1:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 0:1;

„დინამო" (სოხუმი) — „დილა" 3:0, „კოლხეთი" — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:1, განათლების განყოფილება — „დინამო" (თბილისი) 2:0, თელავი — „დინამო" (ბათუმი) 1:1, გაგრა — „დილა" 3:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „მეტალურგი" 1:2, „განთიადი" (თბილისი) — „მერცხალი" 5:0, მწვრთნელთა სკოლა — „სპორტინტერნატი" 0:3;

განათლების განყოფილება — „ავაზა" 9:0, თელავი — „ტორპედო" 1:1, გაგრა — „დინამო" (სოხუმი) 0:1, „გურია" — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:1, „განთიადი" — „დინამო" (თბილისი) 2:1, „სპორტინტერნატი" — „დილა" 3:0, „მერცხალი" — „მეტალურგი" 0:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (სოხუმი) | 8 | 6 | 1 | 1 | 15—8 | 13 |
| განათლ. განყ. (თბილისი) | 8 | 5 | 2 | 1 | 24—2 | 12 |
| ახ. საფ. სკოლა (თბილისი) | 7 | 4 | 3 | 0 | 11—5 | 11 |
| „სპორტინტერნატი" (თბილისი) | 8 | 4 | 3 | 1 | 9—3 | 11 |
| „განთიადი" (თბილისი) | 6 | 4 | 2 | 0 | 11—3 | 10 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 7 | 3 | 3 | 1 | 12—5 | 9 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 8 | 2 | 3 | 3 | 9—11 | 7 |
| მწვრთნელთა სკ. (თბილისი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—13 | 7 |
| „ავაზა" (თბილისი) | 8 | 2 | 3 | 3 | 7—17 | 7 |
| ახ საფ. სკოლა (გაგრა) | 7 | 3 | 0 | 4 | 7—6 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 6 | 1 | 4 | 1 | 5—4 | 6 |
| ახ. საფ. სკოლა (თელავი) | 8 | 0 | 6 | 2 | 8—12 | 6 |
| „დილა" (გორი) | 8 | 2 | 2 | 4 | 7—13 | 6 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—17 | 5 |
| „დინამო" (თბილისი) | 7 | 1 | 2 | 4 | 4—8 | 4 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 6 | 1 | 1 | 4 | 4—7 | 3 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 7 | 0 | 1 | 6 | 0—10 | 1 |

## ამინდს ცვლილებები შეაქვს

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში კვლავ მოხდა ცვლილებები. „სპარტაკი" — „კარპატი", „ტორპედო" — „არარატი", ცსკა — „ყაირათი", „ლოკომოტივი" — ასკ (როსტოვი) 15-17 აპრილს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს მოსკოვში, მაგრამ ვინაიდან იქ არახელსაყრელი კლიმატური პირობებია, ეს მატჩები 15 აპრილს შედგება ლვოვში, ერევანში და ალმა-ათაში, ხოლო 17 აპრილს — როსტოვში.

ამასთან დაკავშირებით, ამავე გუნდების მეორე წრის შეხვედრები გაიმართება მოსკოვში: „სპარტაკი" — „კარპატი" — 9 აგვისტოს, „ლოკომოტივი" — ასკ — 13 აგვისტოს, ცსკა — „ყაირათი" — 15 აგვისტოს, „ტორპედო" — „არარატი" — 16 აგვისტოს.

მოსკოვის „დინამოს" მატჩი „ზარიასთან" 16 აპრილს გაიმართება ლვოვში. 20 აპრილს აქვე შედგება განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი თასების მფლობელთა თასზე მოსკოვისა და ბერლინის დინამოელთა შორის.

მეორე წრის შეხვედრა „ზარიასა" და მოსკოვის „დინამოს" შორის 13 აგვისტოს ჩატარდება ვოროშილოვგრადში.



## 19:1, 11:0

პრაღა, 7 აპრილი. დღეს აქ სტარტი აიღო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატმა ჰოკეიში. გაიმართა ორი მატჩი: ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 19:1 დაამარცხა შვეიცარიის გუნდი, ხოლო სსრ კავშირის წარმომადგენლებმა გფრ-ის ნაკრებს სძლიეს — 11:0.

საბჭოთა ჰოკეისტთაგან შაიბები გაიტანეს ხარლამოვმა, ვიკულოვმა, შადრინმა (2-2), გუსევმა, ბლინოვმა, სოლოდუხინმა, მიხაილოვმა, მალცევმა.

• • •

სურათზე: სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ტელევიზორიდან გადაიღო მ. ზარგარიანმა.

# რეზერვი მაინც არ ჩანს

დასასრული

ლების განყოფილების გუნდის წევრმა კახეთელიძემ, რომელმაც დაზავებული თანაგუნდელი გაბუნია შეცვალა. სწორედ კახეთელიძემ შეუტია ოთხჯერ უნივერსიტეტელთა კალათს და ოთხივეჯერ წარმატებას მიაღწია. 37-ე წუთზე მისმა ეფექტურმა ტყორცნამ ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანა — 43:44. ამის შემდეგ კორობოვა კარგად ამთავრებს თანაგუნდელთა კომბინაციას და ნორჩი კალათბურთელები წინ გადიან — 47:45.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მატჩის ბოლო წუთები. ნორჩებმა ინიციატივა შეინარჩუნეს და მეტად მძიმე, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 51:50.

დიდი იყო გუნდის სიხარული. სიხარულს ვერც მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ბაბახანიდი და რ. ახალაძე ფარავდნენ. მაყურებლებიც აშკარად კმაყოფილი იყვნენ, ვინაიდან ლამაზი და საინტერესო თამაში ნახეს.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და „უშბის" გუნდები. გამარჯვებული გამოავლინა დამატებითმა დრომ. გაიმარჯვა „უშბამ" — 71:66 (29:24, 61:61). უშბელთა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მესხი) შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ჩხეიძე და ვაშაკიძე. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ შეხვედრაში გუნდს 22 ქულა შესძინა.

ქებას იმსახურებენ აჭარელი გოგონებიც (მწვრთნელი გ. მინაბდე), რომლებმაც V ადგილი დაისაკუთრეს. მათ გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს გორელებს — 73:71. აჭარის გუნდში ეფექტური თამაშით გამოიჩინეს თავი ქიშმარიამ (გუნდს 14 ქულა შესძინა) და ტანტიბამ (12). დამარცხებულთა შორის გამოირჩეოდა შავშიშვილი (21 ქულა).

ბოლო ორი ადგილი აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდებმა დაიკავეს. მათს შეხვედრაში წარმატება აფხაზეთის კალათბურთელებს ხვდათ — 63:44 (25:20).

ვაჟთა შორის საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები იყვნენ უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და „სინათლის" გუნდები. მათს დავას შეუერთდა აჭარის კოლექტივი, რომელმაც კარგად განვლო შეჯიბრების პირველი ეტაპი. ფინალურ ასპარეზობაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ უნივერსიტეტისა და „სინათლის" კალათბურთელები. თავდაპირველად უნივერსიტეტელებმა იმარჯვეს, მაგრამ ტაიმის ბოლოს „სინათლე" დაწინაურდა (23:22).

შესვენების შემდეგ ინიციატივა სტუდენტთა მხარეს გადავიდა, რომლებსაც თანაბარი რეზერვი აღმოაჩნდათ. მათმა ხელმძღვანელმა — საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ქამუშაძემ გუნდის ყველა წევრს მისცა ოსტატობისა და უნარის გამოვლენის საშუალება. უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა მეტოქე (89:80) და I ადგილიც დაიკავა.

გამარჯვებულთა შორის აღსანიშნავია მანაგაძისა და ლებანიძის მონდომებული თამაში. მათ კოლექტივს შესაბამისად 28 და 22 ქულა შესძინეს. „სინათლის" წევრებიდან თავი გამოიჩინეს მუშტარაულმა (23 ქულა) და კაზანჯიანმა (19).

III საპრიზო ადგილი ხვდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივს, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო აჭარის ნაკრებს — 76:73. მეხუთე აღმოჩნდა ქუთაისის გუნდი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტი, გორი, აფხაზეთი.

რა გვიჩვენა ტურნირმა? ჯერ ერთი, საგრძნობლად გაიზარდა გუნდების ტექნიკური მომზადების დონე. კალათბურთელები კარგად ტყორცნიან შორი და საშუალო მანძილებიდან. შედარებით მოიკოჭლებს კალათბურთელთა ტაქტიკური აზროვნება. მართალია, პასუხსაგებ მომენტებში პრესინგს იყენებენ, მაგრამ მის შესრულებას დახვეწილობა აკლია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალათბურთელთა ოსტატობის დონე წინა წლებთან შედარებით ამაღლდა, მაგრამ სრულფასოვანი რეზერვი ოსტატთა გუნდებისთვის ჯერ კიდევ არ ჩანს. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ გორელი შავშიშვილი, რომელსაც საჭირო ტექნიკასთან ერთად ტაქტიკური აზროვნების უნარიც აქვს და ზუსტადაც ტყორცნის.

ჩვენი კალათბურთის მთავარი პრობლემა კვლავ მაღალი ტანის კალათბურთელების უკმარობაა. განვლილ ტურნირში ყურადღება მიიქცია მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა გოგონამ განათლების განყოფილების გუნდიდან — 15 წლის კორობოვამ. იგი ტანად 186 სანტიმეტრია, მაგრამ მოძრავია, კარგად ხედავს მოედანს და ზუსტადაც ტყორცნის კალათში.

ლ. ანოლევილი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონატები, ტურნირები, ციფრები

### გდრ

ჩემპიონატის XXII ტურში „მაგდებურგმა" შინ მინიმალური ანგარიშით სძლია ბერლინის „უნიონს" (1:0), ბერლინის დინამოელებმა კი აუეს „ვისმუტს" მოუგეს — 5:1.

საუკეთესო სნაიპერთა სიას ლიდერობს აბრაჰამი („მაგდებურგი") — 13 ბურთი. შტრაიხის (როსტოკის „ჰანზა") ანგარიშზეა 12 გოლი, ხოლო კრაიშეს (დრეზდენის „დინამო") — 10.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი" | 22 | 42:21 | 32 |
| „დინამო" (ბერლინი) | 22 | 40:26 | 29 |
| „დინამო" (დრეზდენი) | 22 | 50:27 | 27 |

### ინგლისი

ყოფილ ლიდერს — „მანჩესტერ-სიტის" XIX ადგილზე მყოფ „საუთჰემპტონთან" მატჩში კარგი შანსი ჰქონდა დაებრუნებინა ადრინდელი პოზიცია, მაგრამ „საუთჰემპტონის" ცენტრფორვარდმა რ. დევისმა 2 „მშრალი" გოლი გაიტანა მანჩესტერელთა კარში და „მანჩესტერ-სიტის" მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დერბი ქაუნთი" | 36 | 62:30 | 51 |
| „მანჩესტერ-სიტი" | 37 | 67:40 | 50 |
| „ლივერპული" | 36 | 53:27 | 46 |

### იტალია

XXIV ტურის ცენტრალური მატჩი „კალიარიმ" შინ მოუგო შარშანდელ ჩემპიონს — მილანის „ინტერნაციონალეს" (2:1) და ამ უკანასკნელმა VII ადგილზე გადაინაცვლა.

წლევანდელი სეზონი ტურინის გუნდების — „იუვენტუსისა" და „ტორინოს" დიდი წარმატებით ხასიათდება. კერძოდ, „იუვენტუსმა" მოუგო „ვარეზეს" — 1:0, ხოლო „ტორინომ" — „კატანძაროს" — 3.1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 24 | 39:21 | 34 |
| „ტორინო" | 24 | 32:22 | 33 |
| „კალიარი" | 24 | 29:17 | 32 |
| „ფიორენტინა" | 24 | 25:15 | 32 |

### უნგრეთი

ბუდაპეშტში „ფერენცვაროში" დამარცხდა „დიოშდიერთან" (0:1), „ჰონვედმა" მოუგო „ვაშაშს" — 5:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 18 | 52:17 | 30 |
| „შალგოტარიანი" | 18 | 30:17 | 26 |
| „ფერენცვაროში" | 19 | 39:18 | 24 |

### საფრანგეთი

XXIX ტურის სენსაცია იყო „ბასტიის" გამარჯვება მარსელის „ოლიმპიკთან" — 2:0. ლიონში ადგილობრივმა „ოლიმპიკმა" უაღრესად მწვავე ბრძოლაში სძლია ნიმის „ოლიმპიკს" — 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპ." (მარსელი) | 29 | 59:27 | 42 |
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 29 | 55:30 | 35 |
| „ოლიმპიკი" (ლიონი) | 29 | 47:35 | 35 |
| „სოშო" | 29 | 46:36 | 35 |

### რუმინეთი

ტირგუ მურეშში I ლიგის დებიუტანტმა „ასამ" ფრედ ითამაშა ლიდერთან — „უტ არადთან" — 0:0. ბრაშოვის „სტიაგულ როშუმ" შინ მოუგო კონსტანცის „ფარულს" — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „უტ არადი" | 19 | 35:16 | 26 |
| „სტიაგულ როშუ" | 19 | 26:12 | 22 |
| „არჯეში" | 19 | 31:26 | 22 |

### ჩეხოსლოვაკია

ბრატისლავის „სლოვანმა" თავის მინდორზე ფრედ დაამთავრა მატჩი „ტრინეცთან" — 1:1. შარშანდელმა ჩემპიონმა — ტრნავის „სპარტაკმა" დაამარცხა ტრენჩინის „იედნოტა" — 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლოვანი" | 18 | 45:16 | 28 |
| „კოშიცე" | 18 | 25:14 | 26 |
| „სპარტაკი" (ტრნავა) | 18 | 39:17 | 24 |

(საქ. ინფ.).

## ყველაზე ძვირადღირებული... მოსაწყენი სანახაობა

იტალიურ ფეხბურთს ეკუთვნის თავისებური „პატენტი" ცნობილი თავდაცვითი ტაქტიკური სქემების — „კატენაჩიოს", „მწმენდელის" გამოგონებაზე. მაგრამ ამ „გამოგონებებმა" გამოიწვია ის, რომ მაყურებელმა ზურგი შეაქცია ნულიანი ფრეების მოსაწყენ სანახაობას. განა სახუმაროა, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ დღეს, როცა 16 გუნდი თამაშობდა, სულ 6 ბურთი იქნა გატანილი. როგორ არ უნდა მოუვიდეს გული გულშემატკივარს! ამას გარდა, კიდევ ერთი გარემოება უცრუებს გულს მაყურებელს: ბილეთები იტალიის სტადიონებზე ყველაზე ძვირია ევროპაში.

განგაში პირველად სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა ატეხეს და კრიტიკამ შედეგიც გამოიღო: გოლების რაოდენობამ თანდათან იმატა და ბოლოს ამ ცოცრმა მიაღწია 2.37-ს თამაშში. მაგრამ გულშემატკივარნი მაინც იხსენებენ, რომ 1934-35 წლებში თავდამსხმელებს 8 მატჩში 40-40 ბურთი გაჰქონდათ.

მწვრთნელთა ერთ-ერთი სიახლეა ტაქტიკური ვარიანტი, როცა ბურთები მცველებს გააქვთ. ნოვატორი მცველის ნიმუშად იქცა ფაკეტი, რომელმაც სახელი გაითქვა კარიდან კარამდე შესრულებული მოულოდნელი რეიდებით და ზუსტი, უძლიერესი დარტყმებით. მის აქტივშია 50 ბურთი და შედეგიანობით XV ადგილზეა.

და მაინც, მაყურებელი უკმაყოფილოა. მას სურს იხილოს შემტევი ფეხბურთი, როცა გოლი თავდამსხმელების აქტიურ მოქმედებათა და არა მცველთა „შემთხვევითი" დარტყმების შედეგს წარმოადგენს. სტატისტიკა ადასტურებს, რომ სტადიონების ტრიბუნები უწინდებურად ცარიელია. პრესა ნამდვილად ახალ ფეხბურთს მოითხოვს.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვური შთაბეჭდილებები

# 5. მომავლის ჭადრაკით

— თუ დაფიქრებულხართ, რას აკეთებდა ფიშერი 1968-70 წლებში, როცა ტურნირებში არ თამაშობდა? — მკითხა საერთაშორისო ოსტატმა ვ. ალატორცევმა.

— რა უნდა გაეკეთებინა? ალბათ, საჭადრაკო მემკვიდრეობას სწავლობდა, ვარჯიშობდა.

ალატორცევს გაეღიმა.

— ყველა ასე ვფიქრობდით, მაგრამ ფიშერის საქმიანობა მარტო ამით თურმე არ ამოიწურებოდა.

ეს საუბარი გაიმართა ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჭადრაკის ლაბორატორიაში, რომელსაც პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ვ. ალატორცევი ხელმძღვანელობს. ამ სამეცნიერო კერას 6 თანამშრომელი ჰყავს: ფსიქოლოგი, ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი, ტექნიკოსი და მოჭადრაკე — საერთაშორისო ოსტატი ე. რუბცოვა. შარშან მან მოსკოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.

ლაბორატორიის მთავარი მიზანია შეისწავლოს გამოჩენილი მოჭადრაკეები ფსიქოლოგიური და მედიკურ-ბიოლოგიური თვალსაზრისით, სათანადო რჩევა-დარიგებებით შეუწყოს ხელი მათ წარმატებების მოპოვებაში, მისცეს რეკომენდაციები ჯანმრთელობის, მუშაობის ორგანიზაციის საკითხებში.

ახალ წამოწყებას დიდი მოწონებით შეხვდნენ მოსკოვის ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომელთა პროფილითაც ლაბორატორიაში ზოგიერთი საკითხი მუშავდება. გამოჩენილმა სწავლულებმა დახმარებაც აღუთქვეს. შეძენილია საჭირო ინვენტარი. ძირითადი მუშაობა წინაა.

როგორც ხედავთ, ლაბორატორიას დიდი გეგმები აქვს. მათმა ხორცშესხმამ საბჭოთა მოჭადრაკეებს გარკვეული პრაქტიკული სარგებლობა უნდა მოუტანოს.

— პეტროსიანთან მატჩში ფიშერი ძალიან რაციონალურად თამაშობდა, — განაგრძო საუბარი ალატორცევმა. — გამიკვირდა, როცა „პრეზიდენტიდან" უფრო იაფფასიან, მივარდნილ ადგილზე მდებარე სასტუმროში გადაბარგდა. მაგრამ ფიშერმა ამით თავი დააღწია ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს, ხმაურს. აი, სწორედ მაშინ დავფიქრდი: იქნებ ფიშერი ამ მხრივაც ემზადებოდა მსოფლიო პირველობისთვის.

ეს აზრი სწორი აღმოჩნდა. ალატორცევმა გადაათვალიერა ამერიკული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და საყურადღებო ცნობებს წააწყდა.

— ალბათ გახსოვთ, — თქვა ალატორცევმა, — ფიშერთან მატჩის დროს ტაიმანოვი და ლარსენი მაღალ წნევას რომ უჩიოდნენ. ამ საკითხს ნათელს ჰფენს ფილადელფიის ტემპლის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის, სპორტისა და ფიზაღზრდის ფაკულტეტის მეცნიერ-მუშაკთა გამოკვლევა — „მოჭადრაკის ფიზიოლოგიური მდგომარეობა თამაშის პროცესში", რომლის შედეგები ამერიკულ საჭადრაკო ჟურნალში „ჩეს ლაიფ ენდ რევიუში" გამოქვეყნდა.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ წნევის აწევა გამოიწვია ჭარბმა გონებრივმა დატვირთვამ, რასაც დაემატა თამაშის შედეგით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და მოულოდნელი წარუმატებლობა. ეს განსაკუთრებით ლარსენს ეხება. მას სჯეროდა, რომ ფიშერს დაამარცხებდა. გამოკვლევამ აჩვენა: თუ მოჭადრაკე მზად არ არის ასეთი დატვირთვისთვის, მას წნევა უთუოდ შეაწუხებს. როგორც ჩანს, ფიშერი მზად იყო სერიოზული გონებრივი მუშაობისთვის. ეს ერთ-ერთი პასუხი უნდა იყოს იმაზე, თუ რას აკეთებდა ბობი „უმოქმედობის" ორი წლის მანძილზე.

ალატორცევს ამოუკითხავს, როცა ჭადრაკს არ თამაშობდა, ფიშერს ფსიქოლოგიური და სამედიცინო შემოწმება გაუვლია. მეცნიერებმა საფუძვლიანად შეისწავლეს მისი ჯანმრთელობა, ფსიქიკური მდგომარეობა და ამ მონაცემების მიხედვით მას შრომისა და დასვენების სათანადო რეკომენდაციები მისცეს. ამერიკელი დიდოსტატი ამ რჩევა-დარიგებებს უდიდესი მონდომებით და სიზუსტით ასრულებს, მისდევს სპორტს — ცურავს, თამაშობს ჩოგბურთს, ზომიერად იკვებება. მაგალითად, პეტროსიანთან მატჩის დროს ერთ-ერთმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ფიშერის საუზმის რაციონი, რომელშიც შედიოდა ახალი ხორცის ბიფშტექსი, ცოტა პური, ერთი გრაფინი ფორთოხლის წვენი და ბანანები ნაღებით. მატჩის პროცესში ფიშერს დღისით 3 საათი ეძინა.

— რა თქმა უნდა, ასეთი რეჟიმის დაცვით ფიშერი მუდამ სპორტულ ფორმაშია, — ამბობს მოსკოველი სწავლული. — ამიტომ არის, რომ ყველა პარტიას, ტურნირში მდგომარეობის მიუხედავად, მხოლოდ მოგებაზე თამაშობს. მზადების პროცესშიც ბევრს მუშაობს. ამასთან, ფიშერს ფანატიკურად უყვარს ჭადრაკი და მზადაა მის ინტერესებს, უფრო სწორად, მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებისთვის ბრძოლას ყველაფერი შეალიოს.

ჭადრაკის ლაბორატორია მისი ხელმძღვანელის მუყაითობით ინტენსიურად ამუშავდა. ზოგიერთმა დიდოსტატმა უკვე გაიარა სათანადო შემოწმება. გაირკვა ბევრი რამ საინტერესო, რაც მანამდე თვით მოჭადრაკეთათვისაც კი შეუმჩნეველი იყო.

— ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება საფუძვლიანად შევისწავლოთ ახალგაზრდა დიდოსტატებისა და ოსტატების მედიკურ-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მივცეთ მათ სწორი რეკომენდაციები, — თქვა ალატორცევმა. — კარგი იქნება, თუ საქართველოს მოწინავე მოჭადრაკეებიც გაივლიან ამ შემოწმებას, პირველ ყოვლისა, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. ეს თბილისშიც შეიძლება მოხერხდეს. ამ საკითხებზე უწინ რომ გვეფიქრა, დარწმუნებული ვარ ნანა ალექსანდრია კუშნირთან მატჩს არ ითამაშებდა: ძალები აშკარად უთანაბრო იყო. როგორც კი შევიტყვე, რომ ნანა ბავშვს ელოდება, მივხვდი, ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა.

მართლაც, მოჭადრაკის შრომა და ჯანმრთელობა დიდ ყურადღებას მოითხოვს. სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლების მედიკურ-ბიოლოგიურ მდგომარეობას ჩვენში დიდი ხანია იკვლევენ, ამიტომ სპორტულმა შედეგებმაც იმატა. იგივე უნდა გაკეთდეს ჭადრაკშიც. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

თ. გიორგაძე.

# როცა სხვები ისვენებდნენ...

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ნორჩ მოჭადრაკეთა რესპუბლიკური გუნდური ტურნირი მოეწყო. შეჯიბრებაში 22 ქალაქისა და რაიონის გუნდები (თითოეულში — 3 ჭაბუკი, 1 გოგონა) მონაწილეობდნენ.

ჭაბუკები და გოგონები შვეიცარიული სისტემით (7-7 ტური) გამართულ ტურნირებში თამაშობდნენ, ხოლო შედეგები მათს გუნდებს ეწერებოდა. ასე გაირკვა უძლიერესი კოლექტივები. საბოლოო შედეგები ასეთია:

I. ცხაკაია (ბ. გოგია, მ. ნოდია, ზ. ტოგონიძე, ნ. ჯანჯღავა. მწვრთნელი შ. ქურდოვანიძე) — 21,5 ქულა, II. აფხაზეთი (ა. შმიტი, გ. მისაბიშვილი, გ. ჯოჯუა, თ. მელიქიანი. მწვრთნელი მ. ელიშაკოვი) — 19,5, III-IV. გორი (ს. კაპანაძე, ა. ხუფენია, დ. მაღალაშვილი, ლ. აპრესოვა. მწვრთნელი შ. თოთლაძე), რუსთავი (ნ. ტერაშვილი, ო. შერსტნიოვი, მ. ნარსია, ხ. გურგენიძე. მწვრთნელი ს. სააკიანი) — 18-18.

შემდეგ მოდიან: სამტრედია — 17,5, მაიაკოვსკი — 17, გარდაბანი — 16, ზუგდიდი — 15,5, ლაგოდეხი — 15, სამხრეთ ოსეთი, ხაშური, გორის რაიონი — 14,5-14,5, თელავი, ტყიბული — 13-13, წალენჯიხა — 12,5, კასპი, ახმეტა, ამბროლაური — 11,5-11,5, ჩხოროწყუ — 10, ყვარელი — 9,5, ზუგდიდის რაიონი — 9, ცაგერი — 5.

გაგაცნობთ უძლიერეს მოჭადრაკეებს დაფების მიხედვით: I დაფა — ვ. ღვინიაშვილი (ლაგოდეხი), ლ. კურიპკო (გარდაბანი) — 5,5-5,5 ქულა 7-დან, გ. ჯანაშია (ზუგდიდი), ბ. გოგია — 5-5; II დაფა — ო. შერსტნიოვი — 6, გ. მისაბიშვილი — 5,5, თ. კეიდია (ზუგდიდი), ნ. ლეკვეიშვილი (სამტრედია), ა. ხუფენია — 5-5; III დაფა — ზ. ტოგონიძე, ზ. გოგია (სამტრედია) — 5,5-5,5, დ. მაღალაშვილი, გ. ჯოჯუა — 5-5; IV (გოგონების) დაფა — ნ. ჯანჯღავა — 6,5 (აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი), ე. გოქსაძე (მაიაკოვსკი) — 5,5, ხ. გურგენიძე, თ. დიდებულიძე (ხაშური) — 5-5.

— ტურნირში პირველ სამ, იქნებ მეოთხე ადგილზე გასული გუნდებიც, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში, — გვითხრა მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ოსტატობის კანდიდატმა გ. მაჭავარიანმა. — ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, თბილისის, ქუთაისისა და აჭარის გუნდები. პირველობა ზაფხულში გაიმართება.

თ. ნინოშვილი.

## [illegible]-72

● ვრნიაჩკა-ბანია (იუგოსლავია), 7 აპრილი. აქ დაიწყო V საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენ ქალთა სავარჯიშო გუნდური ტურნირი. თითოეულ კოლექტივში 3 ძირითადი და 1 სათადარიგო მოთამაშეა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ იუგოსლავია (კონარკოვსკა-სოკოლოვა, შტადლერი, ბელამარიჩი, გ. იოვანოვიჩი), უნგრეთი (ივანკა, ვერეცი, კარაკაში, ბილეკი), რუმინეთი (პოლიქრონიადე, ნიკოლაუ, ბაუმშტარკი, მაკაი), პოლონეთი (რაძიკოვსკა, ერენსკა, ლიტმანოვიჩი, იშოლი) და ბულგარეთი (გეორგიევა, შიკოვა, ბორისოვა, ასენოვა). I ტური: რუმინეთი — პოლონეთი 1:1 (1), უნგრეთი — ბულგარეთი 0:0 (3). იუგოსლავიის გუნდი ამ დღეს თავისუფალი იყო.

## ფინელ მეთევზეთა შეჯიბრება

ფინეთის ჩემპიონატმა ურაიარვის ტბის ყინულზე 5000 მეთევზეს მოუყარა თავი. მოეწყო შეჯიბრება ყინულქვეშ თევზაობაში, რომელიც 5 საათს გაგრძელდა. მონაწილენი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი. „ჩათვლაში" მხოლოდ ქორჭილები შედიოდა.

ქალებში გაიმარჯვა ჰელსინკელმა ს. კორპელამ — 2200 გრამი. ვეტერანებიდან ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა ვ. ვიაიანიანენი — 1420 გრამი. იუნიორთა შორის პირველი იყო მ. ერნი — 1480 გრამი.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებს საბჭოთა კავშირში დამზადებული სატყუარები ჰქონდათ.

ვ. კუმაჩოვი.

ჰელსინკი.

[illegible]

## როცა გაზეთი ხელმოსაწერად მზად იყო... 19⁴⁵

◆ ოსტინი (ტეხასის შტატი), 8 აპრილი. ამერიკელ მძლეოსანთა ტრადიციულ „ტეხასის ესტაფეტებში" 29 წლის ჯ. ბაჩელორმა ადგილობრივი სტადიონის ტარტანის ბილიკზე 6 მილი (9565,07 მ) 27 წუთსა და 47,6 წამში გაირბინა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე და ბევრად სჯობს ამ შეჯიბრებების რეკორდს, რომელიც 1968 წელს დაამყარა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა კ. მურმა. 1 მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა და მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა 1500-მეტრიან დისტანციაზე ჯ. რაიანმა 880 იარდზე (804,67 მ) 1:48,1 აჩვენა.

◆ ლოს-ანჯელესი, 8 აპრილი, ტ. უაიტმა (აშშ) 120 იარდზე თარჯრბენში აქ 13,6 წამი აჩვენა (110-მეტრიან მანძილზე ეს 13,2 წამს შეესაბამება).

◆ სან-ხოსე (კალიფორნია), 8 აპრილი. ამერიკელმა ჯიმ პაუელმა 63,40 მეტრზე ტყორცნა ბადრო ეს მესამე შედეგია წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

## წიგნის თარო

ახალგაზრდა საჭადრაკო კომპოზიტორის ვ. კალანდაძის პირველი წიგნი ამას წინათ გამომცემლობა „ნაკადულმა" დასტამბა. წიგნში თავმოყრილია საქართველოს ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორების რ. დადუნაშვილის (ქუთაისი), ი. კრიხელის (გორი). ე. კვეზერელის, გ. ნადარეიშვილის, ვ. ეეიძის, რ. თავარიანის, ო. ტაბიძის (ყველა — თბილისი), ჯ. მახათაძის (ზესტაფონი). დ. გურგენიძის, ვ. სერედასა (ორივე — თბილისი) და თვით ავტორის 100 ეტიუდი. ყველა ნაწარმოები საკომპოზიციო თემების მიხედვით არის დალაგებული, რითაც კრებულს შემეცნებითი ღირებულებაც მიეცა.

აი, წიგნის შინაარსი: საჭადრაკო კომპოზიციის განვითარება საქართველოში. საჭადრაკო ეტიუდი. ეტიუდები შამათის თემაზე. ეტიუდები სისტემატური მოძრაობის იდეებზე. ეტიუდები პატის იდეაზე. ეტიუდები პოზიციური ყაიმის თემებზე. ეტიუდები სუსტი ფიგურის გაყვანის იდეაზე. ეტიუდები ტემპის მოგებაზე. სისტემატური მოძრაობის იდეა, როგორც თვითმიზანი და ხერხი. სინთეზი შამათის თემასთან. სინთეზი პატის თემასთან. სინთეზი პოზიციური ყაიმის თემასთან. ორი სხვადასხვა ტიპის სისტემატური მოძრაობის სინთეზი.

წიგნს დართული აქვს ეტიუდების საძიებელი ავტორთა და მასალის მიხედვით.

# ვისაც ეტიუდის ჯავარი ესმის...

„ვისაც ეტიუდის ჯავარი ესმის, არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ განიმსჭვალოს ამ კრებულის შემდგენლის მიმართ", წერს შესავალში წიგნის რედაქტორი თ. გიორგაძე.

„100 ეტიუდი" გამოიცა 3 ათასი ცალი. იგი 126 გვერდს შეიცავს და 120-მდე დიაგრამა ახლავს. ფასი 32 კაპ.




## ამოცანა

ჯ. მახათაძე

(ზესტაფონი)



შამათი ოთხ სვლაში.

## უძველესი სპორტული ტრადიცია

უამრავ ინგლისურ ტრადიციას შორის, რომლებიც ასეულ წლებს ითვლიან, არის ორი უნივერსიტეტის — კემბრიჯისა და ოქსფორდის კოლეჯების ნიჩბოსანთა შეჯიბრება მდინარე ტემზაზე რვაადგილიანებით. ამ ტრადიციას 118 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მთელი ამ ხნის განმავლობაში დისტანცია უცვლელი დარჩა — $4^1/_4$ მილი (6,8 კმ) — პატარა ქალაქ პუტნიდან მორტლეიკამდე.

რბოლის დროს ტემზაზე ხომალდების მოძრაობა წყდება და მთელი ინგლისი რადიოთი და ტელევიზიით თვალყურს ადევნებს ორი უნივერსიტეტის ნიჩბოსანთა ბრძოლას.

წლეულს წარმატება კემბრიჯელებს ხვდათ. მათი ნავი სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა და საბოლოოდ ცხრა კორპუსის უპირატესობით გაიმარჯვა. ეს კემბრიჯელთა ზედიზედ მეხუთე წარმატებაა. მატჩების საერთო ანგარიშია 66:51 კემბრიჯის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

მხოლოდ ერთხელ, 1877 წელს, როცა, ბუნებრივია, ფოტოფინიში არ არსებობდა, შეჯიბრება ფრედ დამთავრდა.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 9 აპრილი. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „დინამოს" ბაზა დიღომში. „ავაზა" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი). 15 ს.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04490